საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავასქ. №1 ტელ: +995 599 51-88-41
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, e.meil: gamgeoba2014@gmail.com

N 8782
05/12/2016

8782-04-2-201612051531

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორს

ბატონ ზაზა სოფრომაძეს

ბატონო ზაზა,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული არის სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებების პროგრამები, რომელთა სარგებლობის ერთერთი აუცილებელი კრიტერიუმი არის ბენეფიციარის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა“-ში რეგისტრირებული სარეიტინგო ქულა. ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის ყველა წარმომადგენელი სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“-ს დებულების მე-2 მუხლის ლ[1] პუნქტის შესაბამისად, მოსახლეობისათვის მუნიციპალური სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის და გეოგრაფიული ბარიერების თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, გავაფორმოთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ან/და შესაბამისი ხელშეკრულება, რათა მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა შეძლოს ინფორმაციის გადამოწმება, განმცხადებლის თანხმობით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა“-ში რეგისტრირაციის შესახებ.

პატივისცემით,

მერაბ ჭანუყვაძე

გამგებელი

.